

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №31

2017 წლის 19 მაისი

ქ.ზუგდიდი

„ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 29 დეკემბრის №43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ მე-80 მუხლისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 29 დეკემბრის №43 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 31.12.2015 წ., სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.105.016198) შეტანილ იქნეს ცვლილებები, თანახმად დანართისა.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2017 წლის 19 მაისიდან.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

მაიზერ ნანავა

დანართი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტი

თავი I

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის მაჩვენებელი

მუხლი 1

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

			2016 წლის შესრულება		2017 წლის გეგმა		
			მათ შორის		სულ	მათ შორის	
	2015 წლის ფაქტი	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	21,305.8	22,972.1	6,317.0	16,655.1	19,593.2	5,381.0	14,212.2
გადასახადები	1,701.1	4,202.6	0.0	4,202.6	4,280.0	0.0	4,280.0
გრანტები	18,617.2	18,082.1	6,317.0	11,765.1	14,031.9	5,381.0	8,650.9
სხვა შემოსავლები	987.5	687.4	0.0	687.4	1,281.3	0.0	1,281.3
ხარჯები	14,172.1	16,714.1	303.8	16,410.3	16,566.8	1,441.3	15,125.5
შრომის ანაზღაურება	3,830.5	4,509.8	0.0	4,509.8	3,812.6	0.0	3,812.6



საქონელი და მომსახურება	1,553.8	1,456.8	19.1	1,437.7	1,350.1	0.0	1,350.1
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
პროცენტი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სუბსიდიები	5,082.2	6,347.3	0.0	6,347.3	6,085.8	0.0	6,085.8
გრანტები	1,568.0	2,018.9	0.0	2,018.9	2,980.9	1,421.3	1,559.6
სოციალური უზრუნველყოფა	841.6	1,168.3	0.0	1,168.3	1,239.3	0.0	1,239.3
სხვა ხარჯები	1,296.0	1,213.0	284.7	928.3	1,098.1	20.0	1,078.1
საოპერაციო სალდო	7,133.7	6,258.0	6,013.2	244.8	3,026.4	3,939.7	-913.3
არაფინანსური აქტივების ცვლილება	6,139.7	7,118.7	6,560.3	558.4	8,028.5	4,514.5	3,514.0
ზრდა	6,317.6	8,070.1	6,560.3	1,509.8	8,234.5	4,514.5	3,720.0
კლება	177.9	951.4	0.0	951.4	206.0	0.0	206.0
მთლიანი სალდო	994.0	-860.7	-547.1	-313.6	-5,002.1	-574.8	-4,427.3
ფინანსური აქტივების ცვლილება	968.7	-882.8	-554.3	-328.5	-5,115.6	-616.5	-4,499.1
ზრდა	968.7	0.0	0.0	0.0	250.0	0.0	250.0
ვალუტა და დეპოზიტები	968.7	0.0			0.0	0.0	0.0
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სესხები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.0	250.0	0.0	250.0
სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სხვა დებიტორული დავალიანებები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	0.0	882.8	554.3	328.5	5,365.6	616.5	4,749.1
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	882.8	554.30	328.50	1,165.6	616.5	549.1



ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სესხები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.0	4,200.0	0.0	4,200.0
ვალდებულებების ცვლილება	-25.3	-22.1	-7.2	-14.9	-113.5	-41.7	-71.8
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	25.3	22.1	7.2	14.9	113.5	41.7	71.8
საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო	25.3	22.1	7.2	14.9	113.5	41.7	71.8
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 2

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2016 წლის შესრულება				2017 წლის გეგმა		
	2015 წლის ფაქტი	მათ შორის		სულ	მათ შორის		
	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები	
შემოსულობები	21,483.7	23,923.5	6,317.0	17,606.5	23,999.2	5,381.0	18,618.2
შემოსავლები	21,305.8	22,972.1	6,317.0	16,655.1	19,593.2	5,381.0	14,212.2
არაფინანსური აქტივების კლება	177.9	951.4	0.0	951.4	206.0	0.0	206.0
ფინანსური აქტივების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	4,200.0	0.0	4,200.0
ვალდებულებების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
გადასახდელები		24,806.3	6,871.3	17,935.0	25,164.8	5,997.5	19,167.3



	20,515.0						
ხარჯები	14,172.1	16,714.1	303.8	16,410.3	16,566.8	1,441.3	15,125.5
არაფინანსური აქტივების ზრდა	6,317.6	8,070.1	6,560.3	1,509.8	8,234.5	4,514.5	3,720.0
ნაშთის ცვლილება	968.7	-882.8	-554.3	-328.5	-1165.6	-616.5	-549.1

მუხლი 3
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები **19,593.2** ათ. ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება			2016 წლის შესრულება		2017 წლის გეგმა		
			მათ შორის		სულ	მათ შორის	
	2015 წლის ფაქტი	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	21,305.8	22,972.1	6,317.0	16,655.1	19,593.2	5,381.0	14,212.2
გადასახადები	1,701.1	4,202.6	0.0	4,202.6	4,280.0	0.0	4,280.0
გრანტები	18,617.2	18,082.1	6,317.0	11,765.1	14,031.9	5,381.0	8,650.9
სხვა შემოსავლები	987.5	687.4	0.0	687.4	1,281.3	0.0	1,281.3

მუხლი 4
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები **4,280.0** ათ. ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება			2016 წლის შესრულება		2017 წლის გეგმა		
			მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის			სახელმწიფო ბიუჯეტის	



	2015 წლის ფაქტი	სულ	ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსვლები		ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსვლები
გადასახადები	1,701.1	4,202.6	0.0	4,202.6	4,280.0	0.0	4,280.0
საშემოსავლო გადასახადი	0.0	913.9	0.0	913.9	1,000.0	0.0	1,000.0
ქონების გადასახადი	1,701.1	3,288.7	0.0	3,288.7	3,280.0	0.0	3,280.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	498.2	1,508.3	0.0	1,508.3	2,200.0	0.0	2,200.0
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	-20.0	143.2	0.0	143.2	80.0	0.0	80.0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	397.7	387.4	0.0	387.4	450.0	0.0	450.0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	825.2	1,249.8	0.0	1,249.8	550.0	0.0	550.0

მუხლი 5

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები **14,031.9** ათ. ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება			2016 წლის შესრულება	2017 წლის გეგმა			
				სულ		მათ შორის	
	2015 წლის ფაქტი	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსვლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსვლები
გრანტები	18,617.2	18,082.1	6,317.0	11,765.1	14,031.9	5,381.0	8,650.9
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	0.0	12.9	0.0	12.9	18.2	0.0	18.2
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0



სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	18,617.2	18,069.2	6,317.0	11,752.2	14,013.7	5,381.0	8,632.7
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	11,685.5	11,752.2	0.0	11,752.2	8,632.7	0.0	8,632.7
გათანაბრებითი ტრანსფერი	11,455.5	11,522.2	0.0	11,522.2	8,402.7	0.0	8,402.7
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	230.0	230.0	0.0	230.0	230.0	0.0	230.0
ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	6,931.7	6,317.0	6,317.0	0.0	5,381.0	5,381.0	0.0
სულ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	4,206.7	4,667.7	4,667.7	0.0	3,959.7	3,959.7	0.0
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	1,760.1	1,649.3	1,649.3	0.0	0.0	0.0	0.0
პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
მთავრობის სარეზერვო ფონდი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ფონდი	964.9	0.0	0.0	0.0	1,421.3	1,421.3	0.0

მუხლი 6

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 1,281.3 ათ. ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2016 წლის შესრულება				2017 წლის გეგმა		
	2015 წლის ფაქტი	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები
სხვა შემოსავლები	987.5	687.4	0.0	687.4	1,281.3	0.0	1,281.3
შემოსავლები საკუთრებიდან	296.9	177.1	0.0	177.1	440.0	0.0	440.0



პროცენტები	54.5	63.8	0.0	63.8	50.0	0.0	50.0
დივიდენდები	0.0	0.0	0.0		0.0	0.0	0.0
რენტა	242.4	113.3	0.0	113.3	390.0	0.0	390.0
მოსაკრებელი ზუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	236.0	87.0	0.0	87.0	390.0	0.0	390.0
შემოსავალი მიწის იჯაროდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	6.4	26.3	0.0	26.3	0.0	0.0	0.0
სხვა არაკლასიფიცირებული რენტა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	272.9	175.9	0.0	175.9	381.3	0.0	381.3
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	272.9	171.1	0.0	171.1	371.0	0.0	371.0
საერთო-სახელმწიფოებრივი სალიცენზიო მოსაკრებელი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სანებართვო მოსაკრებელი	250.0	145.6	0.0	145.6	300.0	0.0	300.0
სახელმწიფო ბაჟი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0.1	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0.6	0.2	0.0	0.2	1.0	0.0	1.0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	0.0	0.1	0.0	0.1	0.0	0.0	0.0
კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არეალის ინფრასტრუქტურის ადგილობრივი მოსაკრებელი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ადგილობრივი მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის	0.0	25.2	0.0	25.2	0.0	0.0	0.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	22.2	0.0	0.0	0.0	60.0	0.0	60.0
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	0.0	0.0	0.0	0.0	10.0	0.0	10.0
არა საბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	0.0	4.8	0.0	4.8	10.3	0.0	10.3
შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	0.0	4.8	0.0	4.8	10.3	0.0	10.3



ჯარიმები, სანქციები და საურავები	414.5	334.4	0.0	334.4	460.0	0.0	460.0
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	3.2	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 7

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები **16,566.8** ათ. ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2016 წლის შესრულება		2017 წლის გეგმა				
	2015 წლის ფაქტი	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	14,172.1	16,714.1	303.8	16,410.3	16,566.8	1,441.3	15,125.5
შრომის ანაზღაურება	3,830.5	4,509.8	0.0	4,509.8	3,812.6	0.0	3,812.6
საკონელი და მომსახურება	1,553.8	1,456.8	19.1	1,437.7	1,350.1	0.0	1,350.1
სუბსიდიები	5,082.2	6,347.3	0.0	6,347.3	6,085.8	0.0	6,085.8
გრანტები	1,568.0	2,018.9	0.0	2,018.9	2,980.9	1,421.3	1,559.6
სოციალური უზრუნველყოფა	841.6	1,168.3	0.0	1,168.3	1,239.3	0.0	1,239.3



სხვა ხარჯები	1,296.0	1,213.0	284.7	928.3	1,098.1	20.0	1,078.1

მუხლი 8

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივები მათ შორის: განისაზღვროს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა **8,234.5** ათ. ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2016 წლის შესრულება		2017 წლის გეგმა				
	მათ შორის		მათ შორის				
	2015 წლის ფაქტი	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები
ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	6,317.6	8,070.1	6,560.3	1,509.8	8,234.5	4,514.5	3,720.0
წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	131.4	185.5	0.0	185.5	232.7	0.0	232.7
თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	4.6	5.9	0.0	5.9	126.0	0.0	126.0
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	6,154.6	7,222.5	6,091.8	1,130.7	7,379.4	4,431.0	2,948.4
განათლება	27.0	563.4	468.5	94.9	138.1	83.5	54.6



კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	0.0	91.1	0.0	91.1	358.3	0.0	358.3
---	-----	------	-----	------	-------	-----	-------

თავი II

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 9

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები, მათი აღწერის მოსალოდნელი შედეგებისა და შეფასების ინდიკატორები

2017-2020 წლებში მუნიციპალიტეტში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნას, მოსახლეობის სოციალური პრობლემების გაუმჯობესებას, ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვას, სკოლამდელი განათლების სრულყოფას და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას. კულტურისა და სპორტის განვითარებას.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

- მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნა, ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია;
- სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობა, სკოლამდელი განათლების ობიექტების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მოწესრიგება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება.
- კულტურისა და სპორტის განვითარება, ახალგაზრდული პროგრამების ხელშეწყობა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.

2017 წლის და შემდგომი წლების პრიორიტეტები და პროგრამები:

1. 13,196.6 ათასი ლარი – ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება, აღნიშნული მიმართულება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო, კომუნალური ინფრასტრუქტურის, ხიდების, გარე განათების, წყლის სისტემის, მოსაცდელების და სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია, მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის გარდა განხორციელდება გამწვანების, კეთილმოწყობის სამუშაოები არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

1.1. 3,321.9 ათასი ლარი – საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (გზები და ხიდები პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული გზების მდგომარეობის შენარჩუნება, გზების რეაბილიტაცია. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მიმავალი გზების რეაბილიტაციისა და მოწყობის საკითხი მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. საკუთარი სახსრებით განხორციელდება ზუგდიდის შიდა გზების ორმულის შეკეთების სამუშაოები. აღნიშნული სამუშაოების შესრულება



მნიშვნელოვან ეფექტს მოიტანს. მოსახლეობას მიეცემა ნორმალური გადაადგილების საშუალება.

1.1.1 3,074.2 ათასი ლარი – გზების მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01 01)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში გზის საფარის მიმდინარე და კაპიტალურ შეკეთების და მშენებლობის სამუშაოების ჩატარებას, მათ შორის გზების მიმდინარე (ორმული) და ფრაგმენტული შეკეთება; გზების ქვიშა-ხრემოვანი მასალით მოწყობა, ქუჩების ტროტუარების მიმდინარე კაპიტალური შეკეთება, გზებზე ა/ბეტონის დაზიანებულ მონაკვეთებზე ბზარების დამუშავება.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება, სკოლებთან და ჯანდაცვის ობიექტებთან გადაადგილების ხელშეწყობა. ტურიზმის ობიექტებთან მარტივად დაკავშირება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

რეაბილიტირებული და ახალი გზების რაოდენობრივი მაჩვენებელი, მოსახლეობის კმაყოფილების დონე.

1.1.2. 247.7 ათასი ლარი – ხიდ-ბოგირების მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა- შენახვა (პროგრამული კოდი 03 01 02)

ხიდების მშენებლობა-რეაბილიტაციისათვის გათვალისწინებულია პროგრამის ფარგლებში განხორციელდეს მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ხიდ-ბოგირების მდგომარეობის შენარჩუნება და ახალი ხიდების მშენებლობა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მოსახლეობის შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

შეკეთებული და ახლად მოწყობილი ხიდების რაოდენობრივი ზრდა.

1.2 2,640.9 ათასი ლარი – კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა - რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 0302)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების ქსელის გაფართოება, წყალსადენის ქსელის გაფართოება, გამწვანების სამუშაოები. სოფლებში არსებული სკვერებისა და პარკების მოვლა, ახალი ხეების დარგვა და გამწვანების ზოლებში ყვავილებისა და სხვა დეკორატიული მცენარეების განაშენიანება.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

კეთილმოწყობილი და განათებული სოფელი, სოფლის ცენტრები და უბნები. მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება. სასმელი წყლით მოსახლეობის მაქსიმალური უზრუნველყოფა. სოფლის ინფრასტრუქტურის იერსახის გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

განათების პროცენტული მაჩვენებლის ზრდა. გაუმჯობესებული და კეთილმოწყობილი დასვენებისა და გართობის ადგილები.

1.2.1. 100.0 ათასი ლარი – გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 030201)



მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, მოვლა-შენახვა, ახალი ქსელების მოწყობა და მოხმარებული ელექტროენერჯის საფასურის გადახდა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

ფეხით მოსიარულეთა და სატრანსპორტო მოძრაობის უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება დღეღამის განმავლობაში, სოფლების ინფრასტრუქტურის იერსახის გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

განათებული სოფლების რაოდენობის ზრდა.

1.2.2. 1,550.0 ათასი ლარი – დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 030202)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის ხელმისაწვდომი, ეფექტური და მდგრადი განვითარების პრაქტიკის დამკვიდრებას. დასუფთავებისა და ნარჩენების გატანა-განთავსების პროგრამა უმნიშვნელოვანესია ტერიტორიის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მოსახლეობის უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს თვალსაზრისით. ყოველდღიური, დასასუფთავებელი ფართი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეადგენს 15,3 ჰექტარს, ხოლო გასატანი საყოფაცხოვრებო ნარჩენის ყოველდღიური მოცულობა 25-30კ³ შეადგენს.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

სანიტარიულ-ჰიგიენური და გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

დასაგველი საერთო ფართის ყველა უბანსა და მონაკვეთიდან დასუფთავების ნარჩენების შეგროვებისა და ნაგვის გატანის მდგომარეობის მაჩვენებლის ზრდა. სპეცტექნიკის რაოდენობის ზრდა.

1.2.3 5.0 ათასი ლარი – ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 030204)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში ტურისტული საინფორმაციო დაფების და ბუკლეტების მომზადებას.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

ტურისტული გარემოს გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

დამთვალიერებელთა და დამსვენებელთა რაოდენობრივი მაჩვენებლის ზრდა.

1.2.4. 189.0 ათასი ლარი – მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 02 07)

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული სასაფლაო მეურნეობის მოწყობა, მოვლა-პატრონობა, შემოღობვა და სასაფლაოს ტერიტორიაზე გასასვლელებისა და ბილიკების მოხრეშვა, დასუფთავება, გადაბერებული ხეების მოჭრა და გადაცემა სოციალური დანიშნულების სარგებლობისათვის შესაბამის სამსახურზე. უპატრონო მიცვალებულების დაკრძალვა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების მოვლისა და დაცვის არსებული



მდგომარეობის მკვეთრად გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

კეთილმოწყობილი სასაფლაოების რაოდენობრივი მაჩვენებელი.

1.2.5. 5.0 ათასი ლარი – არასასოფლო მიწების საკადასტრო ნახაზების შედგენის ხარჯები (პროგრამული კოდი 03 02 08)

მუნიციპალური ქონების სრულად აღრიცხვის და განკარგვისათვის დაურეგისტრირებელი სასოფლო და არასასოფლო მიწის ნაკვეთების, ასევე შენობა-ნაგებობების საკადასტრო ნახაზების შედგენა შემდგომში მათი დარეგისტრირების მიზნით.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

დაურეგისტრირებელი ქონების მუნიციპალიტეტის ბალანსზე ასახვა კანონმდებლობის შესაბამისად.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

წლის განმავლობაში დარეგისტრირებული ქონების რაოდენობრივი და თანხობრივი მაჩვენებელი.

1.3. 1,755.0 ათასი ლარი – მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 0303)

მუნიციპალიტეტის იერსახის გაუმჯობესებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება კეთილმოწყობის პროგრამის განხორციელებას, ამ კუთხით პროექტი ითვალისწინებს, სხვადასხვა კეთილმოწყობის სამუშაოებს: წყალშემკრები არხების მოწყობას და არსებულის მოვლა-შენახვას, ტროტუარების, ბორდიურების კეთილმოწყობის, პარკების, გაზონების, სკვერების გამწვანებას და მოვლა-შენახვას, გარე-განათების ქსელის მოვლა-პატრონობას, სოფლის ტერიტორიების იერსახის გაუმჯობესებას და სადღესასწაულო დღეებში მორთვას. ქვეპროგრამის ფარგლებში გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული განათების ქსელის გაფართოება ახალი წერტილების მოწყობა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

კეთილმოწყობილი ტერიტორიები, დასახლებული უბნების გაუმჯობესებული იერსახე. მოსახლეობის პოზიტიური განწყობა არსებული სფეროს მიმართ. დამის საათებში მოსახლეობის უსაფრთხო გადაადგილება. სოფლის ქუჩებისა და უბნების განათებული იერსახე.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

კეთილმოწყობის საკითხებზე მოსახლეობის შენიშვნების ნაკლები რაოდენობა, აღნიშნულ საკითხებზე შემოსული თხოვნებისა და წინადადებების დაკმაყოფილების რიცხოვნობის მაჩვენებელი. დასვენებისა და გართობის მოწყობილი და რეაბილიტირებული ადგილების მაჩვენებელი; წინა წელთან შედარებით განათებული ქუჩებისა და უბნების რაოდენობის გაზრდა.

1.3.1. 5.0 ათასი ლარი ეკონომიკური ფორუმის ფინანსური ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 03 03 02)

მიმდინარე წელს ზუგდიდის მუნიციპალიტეტში გათვალისწინებულია საერთაშორისო ეკონომიკური ფორუმის ჩატარება, რომლის ორგანიზებაში მონაწილეობას იღებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

ეკონომიკური ფორუმის ჩატარება მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს საინვესტიციო გარემოს და ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:



კონკრეტულად რა შედეგები აისახება მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარებაზე.

1.3.2. 1,620.0 ათასი ლარი – მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამუშაოები (აიპ „კეთილმოწყობის ცენტრი“ (პროგრამული კოდი 03 03 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია რიგი პროგრამები და ღონისძიებები, რათა გაუმჯობესდეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურა, შეიქმნას მოსახლეობისათვის სათანადო სანიტარიული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები. მუნიციპალიტეტის იერსახის გაუმჯობესებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება კეთილმოწყობის პროგრამის განხორციელებას, ამ კუთხით პროექტი ითვალისწინებს, სხვადასხვა კეთილმოწყობის სამუშაოებს: წყალმშემკრები არხების მოწყობას და არსებულის მოვლა-შენახვას ტროტუარების, ბორდიურების კეთილმოწყობის, პარკების, გაზონების, სკვერების გამწვანებისა და მოვლა-შენახვას, გარე-განათების ქსელის მოვლა-პატრონობას, სოფლის ტერიტორიების იერსახის გაუმჯობესებას და სასდღესასწაულო დღეებში მორთვას.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

კეთილმოწყობილი ტერიტორიები, დასახლებული უბნების გაუმჯობესებული იერსახე. მოსახლეობის პოზიტიური განწყობა არსებული სფეროს მიმართ.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

კეთილმოწყობის საკითხებზე მოსახლეობის შენიშვნების ნაკლები რაოდენობა, აღნიშნულ საკითხებზე შემოსული თხოვნებისა და წინადადებების დაკმაყოფილების რიცხოვნობის ზრდა.

1.3.3. 130.0 ათასი ლარი – განმუხურის ბოტანიკური ბაღის ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 03 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ბოტანიკური ბაღის მშენებლობა და ინფრასტრუქტურის მოწყობა საგრანტო პროგრამებით.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

განმუხურის ზღვისპირა ზოლში მოსახლეობისა და ჩამოსული ტურისტებისა და დამსვენებლებისათვის კეთილმოწყობილი დასასვენებელი ადგილის მოწყობა. მოსარგებლების პოზიტიური განწყობა. მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

დამსვენებელთა რიცხოვნობის ზრდა. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება.

1.4. 150.0 ათასი ლარი – სანიაღვრე არხების მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 05)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ზუგდიდის მუნიციპალიტეტში სანიაღვრე არხების მოწყობა, ასევე წყალსაწრეტი არხები და ნაპირსამაგრი ჯებირების მოწყობა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

ნალექიან ამინდში არასაცხოვრებელი და საცხოვრებელი ტერიტორიებზე სანიაღვრეების მოწყობის შედეგად ჭარბი წყლის დაგროვების შედეგად მოსალოდნელი ზიანის თავიდან აცილება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

წლის განმავლობაში მოწყობილი სანიაღვრე არხებისა და წყალსაწრეტების რაოდენობრივი მაჩვენებელი.

1.5. 501.7 ათასი ლარი – სოფლის მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 0307)



სოფლის მხარდაჭერის პროგრამისათვის 2016 წლის №265 განკარგულებიდან დარჩენილი 69,3 ათ. ლარიდან 58,3 ათ. ლარი მიიმართოს ჭითაწყარის ადმინისტრაციულ ერთეულში ზვიად გამსახურდიასა და აკაკი წერეთლის ქუჩებზე გარე განათების მოწყობის პროექტირებისათვის. ხოლო 2,0 ათ. ლარი დარჩელის ადმინისტრაციულ ცენტრში არსებული პოლიციის შენობის წინ ჭაბურღილის რეაბილიტაციისათვის.

1.6. 50.0 ათასი ლარი – მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 0308)

მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობა მნიშვნელოვანია, რათა ტრანსპორტის საწვავისა და მარაგ-ნაწილების ფასების ზრდის გამო, მგზავრობის ღირებულება არ გაძვირდეს. პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალური ტრანსპორტის ფინანსური დანახარჯების და შემოსავლების თანაფარდობით მოსალოდნელი ზარალის ნაწილობრივ შევსებას.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

მოსახლეობის მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის ღირებულების სტაბილურობის შენარჩუნება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

მგზავრობის ნაკადის რაოდენობრივი მაჩვენებლის შენარჩუნება და ზრდა.

1.7. 1,412.0 ათასი ლარი – რეგიონალური ფონდების თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 0309)

რეგიონალური პროექტებისათვის თანხის გამოყოფისას სავალდებულო მოთხოვნაა პროექტების გათვალისწინებულ იქნეს თანადაფინანსების სახით საკუთარი სახსრები ადგილობრივ ბიუჯეტში.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

რეგიონალური ფონდიდან გამოყოფილი თანხების თანადაფინანსების ფინანსური უზრუნველყოფა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

ბიუჯეტის შესაბამისი კოდით გათვალისწინებული თანხების ოდენობა.

1.8. 57.6 ათასი ლარი – სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების პროგრამა (პროგრამული კოდი 03 10)

პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტში განვითარებული სტიქიური მოვლენების შედეგების აღმოფხვრა და ლიკვიდაცია.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

ზარალის მთლიანი ან ნაწილობრივი ანაზღაურება.

1.9. 735.0 ათასი ლარი – შპს "ANAKLIA-GANMUKHURIS RESORTS"-ის ფინანსური ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 03 12)

პროგრამის მიზანია არსებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, კერძოდ ხელოვნური საფარისა და ქვიშის მოედნების სამუშაოები, ასევე ამფითეატრში მიმდინარე სამუშაოების შესრულება. შადრევნების, საშხაპეების, წყლის სასმელი სოკოებისა და მსგავსი ფასეულობების მოვლა-პატრონობა. არსებული გამწვანების ზოლის მოთიბვის სამუშაოები, სხვადასხვა ხე-მცენარეების გასხვლა, შეწამვლა და შესაბამისი მინერალებით კვება. ასევე განხორციელდება არსებული ელექტრო გაყვანილობის სადენების, ელექტრომოწყობილობების, სხვადასხვა ტიპის სანათების, განათების ბოძებისა და სხვა მინათების საშუალებების მოვლა-პატრონობა და სწორი ექსპლოატაცია. შპს "ANAKLIA-GANMUKHURIS RESORTS"-ს უზურფრუქტის ფორმით გადაეცა ანაკლია-განმუხურის საფეხმავლო ხიდი, რომლის სიგრძე შეადგენს 605 მეტრს. აღნიშნულ ხიდს გასულ წელს ჩაუტარდა კაპიტალური



(ძირითადად განათების) სამუშაოები სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებით ამასთან ხიდი საჭიროებს მნიშვნელოვან კაპიტალურ სამუშაოებს, რომელიც აუცილებელია საკურორტო სეზონის მზადყოფნისათვის.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

საკურორტო ზონაში აღდგენილი, გამართული და გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა, რომელიც შექმნის დამატებით კომფორტს, ვიზიტორებს და ესთეტიკურად წარმოაჩენს ზღვისპირა კურორტის სილამაზეს, ასევე ღამის საათებში ვიზიტორების უსაფრთხო გადაადგილება და ტერიტორიის განათებული იერსახე.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

რეაბილიტირებული და მოვლილი ინფრასტრუქტურის რაოდენობრივი მაჩვენებელი, ზღვისპირა კურორტ ანაკლია-განმუხურის ცნობადობის ამაღლება. ვიზიტორების რაოდენობის ზრდა და კმაყოფილების დონე.

1.10. 1,623.3 ათასი ლარი – შპს "ზუგდიდაგროსერვისის" (მათ შორის აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებები – 1421.3 ათ. ლარი, მთავრობის №588 განკ.) ფინანსური ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 03 13)

პროგრამის მიზანია მიმდინარე წელს ახლად დაფუძნებული 100-პროცენტის ადგილობრივი წილის მქონე შპს „ზუგდიდაგროსერვისის“ ფინანსური ხელშეწყობა, რომელიც ორიენტირებული იქნება სოფლის მეურნეობის და მასთან დაკავშირებული ღონისძიებების გატარებაზე. საქართველოს მთავრობის №588 განკარგულებით, მუნიციპალიტეტზე გადმოცემული თანხის 1421,3 ათ. ლარის განკარგვის დელეგირება გაუკეთდა შპს „აგროსერვისს“. პროექტის განხორციელების მიზანია პრევენციულ ღონისძიებათა გატარება, რომელიც მიმართული იქნება აზიური ფაროსანას წინააღმდეგ, რომელიც მასიურად აზიანებს თხილის კულტურას.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

სოფლის მეურნეობის დარგში გატარებული ღონისძიებების ეფექტიანობა.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შესაბამისი პრეპარატებით დამუშავებული ფართობი.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

განხორციელებული პროექტების რაოდენობა სოფლის მეურნეობის დარგში. რამდენ ჰა ფართობზე ჩატარდა შეწამვლითი სამუშაოები და მოსახლეობის რამდენ საკარმიდამო ნაკვეთს ჩაუტარდა პრევენციული ღონისძიება.

1.11. 130.0 ათასი – მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქტივების მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 14)

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობები მოითხოვს კაპიტალურ და მიმდინარე რემონტს, ძირითადი აქტივებით აღჭურვას.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

ადმინისტრაციული, საგანმანათლებლო და კულტურული ობიექტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

წლის განმავლობაში რეაბილიტირებული აქტივების რაოდენობრივი და თანხობრივი მაჩვენებელი.

1.12. 210.5 ათასი ლარი – საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის პროგრამა



(პროგრამული კოდი 03 15)

საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა, პროექტების სწორად განხორციელების აუცილებელი პირობაა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

პროექტების ტექნიკური და ფინანსური გაანგარიშების სისწორე.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

პროექტებში ცვლილებების შეტანის მინიმალური ოდენობა.

2. 2,493.0 ათასი ლარი – განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებების ხელშეწყობა, სკოლამდელ დაწესებულებათა ფუნქციონირებაში საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელება, სკოლისგარეშე დაწესებულებათა დაფინანსება და ზოგადი განათლების ხელშეწყობა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

სკოლამდელი განათლების განვითარების ხელშეწყობა. რეაბილიტირებული და განახლებული ბაგაბალები და საჯარო სკოლები.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

სკოლამდელი ასაკის ბავშვების ზოგადი განათლების მაღალი დონე. შეუფერხებელი სასწავლო პროცესი.

2.1. 2,300.0 ათასი ლარი – სკოლამდელი აღზრდის განათლების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 04 01)

სკოლამდელი განათლების დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და სკოლამდელი განათლების ხარისხის გაუმჯობესება. სასკოლო პროგრამის დასაძლევად სათანადოდ მომზადებული ბავშვები, არსებული სკოლამდელი დაწესებულებების ბაზის მოვლა-პატრონობა და შევსება. სკოლამდელი დაწესებულებების შენობა-ნაგებობათა მონიტორინგი, სკოლამდელი ასაკის ბავშვების განათლების ხარისხის ფინანსური უზრუნველყოფა. ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 44 ბაღი, სადაც სკოლამდელ განათლებას იღებს 2000-მდე ბავშვი.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

სკოლამდელი აღზრდის სფეროს საბოლოო მიზანია შექმნას ისეთი გარემო, რომ 6 წლის ასაკისათვის ბავშვის განვითარებაში მიღებულ იქნეს შემდეგი შედეგები: სოციალურ-ემოციური, ჯანმრთელობის, შემეცნებითი, მეტყველების განვითარება, სწავლისადმი მიდგომა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მაცხოვრებელი 6 წლამდე ასაკის ბავშვების საერთო რაოდენობის სკოლამდელ დაწესებულებებში განთავსების პროცენტული მაჩვენებელი. სკოლამდელ დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებაზე წლის განმავლობაში განხორციელებული პროექტების რაოდენობრივი და თანხობრივი მაჩვენებელი. სასწავლო-აღზრდელობითი მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლის ამაღლება სკოლამდელი აღზრდის კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

2.2. 90.0 ათასი ლარი – საჯარო სკოლების ფინანსური ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 04 02)

საჯარო სკოლების ფინანსური ხელშეწყობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის და



სხვა აუცილებელი სახელმწიფო პროგრამით დაუფინანსებელი ხარჯების გაწევა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

საჯარო სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

წლის განმავლობაში საჯარო სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან განხორციელებული პროექტების რაოდენობრივი და თანხობრივი მაჩვენებელი.

2.3. 10.0 ათასი ლარი – განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდებისა და ბავშვთა ფინანსური ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 0405)

განსაკუთრებული ნიჭისა და უნარების მქონე მოზარდთა და ახალგაზრდათა გამოვლენა და მათი ფინანსურ-მატერიალური ხელშეწყობა შესაბამის სფეროში სწავლისა თუ შემოქმედების უზრუნველსაყოფად.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

განსაკუთრებული ნიჭის მქონე ბავშვთა პოტენციალის ზრდის გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

ნიჭიერ ახალგაზრდათა ხელშეწყობის რაოდენობრივი, ხარისხობრივი და თანხობრივი მაჩვენებელი.

3. 2,017.7 ათასი ლარი – კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კულტურული და სპორტული სფეროს მკვეთრად გაუმჯობესებას. კულტურული და სპორტული ღონისძიებების ჩატარების, კულტურის, დასვენების და სპორტული ობიექტების მოწყობა- რეაბილიტაციის ხარჯებს.

3.1. 247.5 ათასი ლარი – სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ძირითადი არსია ზუგდიდის რაიონებში სპორტის განვითარება და ახალგაზრდების მაქსიმალური ჩართულობა სპორტის სხვადასხვა სახეობაში; რაიონის მასშტაბით გუნდების მზადება და მონაწილეობა საერთაშორისო და რესპუბლიკის მასშტაბით. მაღალი კლასის სპორტსმენთა მომზადება, სპორტის შემდგომი პოპულარიზაცია და სპორტის პროპაგანდისათვის ხელშეწყობა, ასევე სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარებისათვის პირობების შექმნა, უზრუნველყოფა სპორტული ობიექტებით, სპორტული ინვენტარით, ტრანსპორტით მომსახურება, სპორტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განვითარება და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

სპორტული წრეებისა და სექციების მიხედვით, ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობა. სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარება. თანამედროვე საწვრთნელი პროცესის დანერგვა, სპორტული რეზერვების მომზადების ეფექტური სისტემა; სპორტის სახეობებში ქალაქისა და ეროვნული ნაკრებისათვის შერჩეული პერსპექტიული სპორტსმენებით დაკომპლექტებული გუნდი.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

სპორტის სახეობების მიხედვით ჩატარებული რაიონული, ეროვნული და საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეთა რაოდენობა და დაკავებული ადგილების ხარისხი.

3.1.1. 217.5 ათასი ლარი – მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა



(პროგრამული კოდი 05 01 01)

სპორტული ობიექტების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, სპორტსმენების წვრთნისა და გადამზადების ხელშეწყობა, სპორტის სხვადასხვა სახეობის პოპულარიზაცია, ვეტერან სპორტსმენთა მიღწევების პოპულარიზაცია. მუნიციპალიტეტში სპორტული ღონისძიებები.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

სპორტული მიღწევების გაუმჯობესება. ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

წარმატებულ სპორტსმენთა რაოდენობრივი მაჩვენებელი.

3.1.2 30.0 ათასი ლარი – სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 01 02)

სპორტული კალენდრის შედგენა, ადგილობრივი, რესპუბლიკური და საერთაშორისო ღონისძიებების დაგეგმვა და ორგანიზება. სპორტის სხვადასხვა სახეობის პოპულარიზაცია, სპორტსმენების და მწვრთნელების ოსტატობის დონის ამაღლება. მიღწეული წარმატებები, მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

რეგიონულ, რესპუბლიკურ და საერთაშორისო შეჯიბრებებში წარმატებულ სპორტსმენთა მონაწილეობა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

შეჯიბრებაში მონაწილეობის შედეგები.

3.2. 1,430.0 ათასი ლარი – კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

კულტურულ-შემეცნებითი გასართობი ღონისძიებების ჩატარება, კულტურული ტრადიციების დაცვა-აღდგენა, სახელოვნებო სკოლების, ბიბლიოთეკების, მუსიკალური კოლექტივების ფუნქციონირება და განვითარება.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

